საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4371/01
28/04/2022

4371-01-2-202204281654

შპს „რეჭის“

მის: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯავახო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №7746 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯავახოში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული არ არის ინფორმაცია წყალაღების წერტილიდან საპროექტო ტერიტორიამდე და სალექარიდან წყალჩაშვების წერტილამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში, „პროექტის აღწერის“ თავში მითითებულია, რომ წყალაღება განხორციელდება მდ. რუინიდან. ამასთან, წყალმომარაგების თავში (გვ. 6), აღნიშნულია, რომ წყალაღება განხორციელდება მდ. რიონიდან. შესაბამისად, კორექტირებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტის დასახელება;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან აღებული წყლის რაოდენობა და ჯერადობა, თვეების მიხედვით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ტიპი;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საწარმოს გენგეგმა, შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტების (სამსხვრევი, სასაწყობე მოედანი და სხვა) GPS კოორდინატების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე